BGA ROAR

NEWSLETTER BY
British–Georgian Academy

აპრილის თვის მნიშვნელოვანი თარიღები

29 მარტი - 9 აპრილი: საგაზაფხულო არდადეგები
12 აპრილი: საუნივერსიტეტი გამოფენა
15 აპრილი: დედაენის დღე
15 აპრილი - 20 აპრილი: ქართული ენის კვირეული
16 აპრილი: აუტიზმის თვისადმი მიძღვნილი აქტივობა
16 აპრილი, 18 აპრილი; IGCSES ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში
18 აპრილი: ლიტერატურულ კონკურს „ათინათის" მეორე ტური
19 აპრილი: დილის შეხვედრა მშობლებთან - Behaviour for Learning
22 აპრილი: DP1 მშობელთა კონფერენციები
22 აპრილი: ქართული პროგრამის მშობელთა კონფერენციები
22 აპრილი - 27 აპრილი: ხელოვნებისა და მუსიკის კვირეული
23 აპრილი: DP2 ფინალური გამოცდები
24 აპრილი: დედამიწის დღე
29 აპრილი - 3 მაისი: სპორტული კვირეული

ძვირფასო მშობლებო

გილოცავთ გაზაფხულის დადგომას და განვლილ დღესასწაულებს: დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს. იმედი გვაქვს, ჩვენი მოსწავლეების მიერ სკოლაში დამზადებულმა პატარა საჩუქრებმა გაგაღიმეს და გაგახალისეს.

მარტი შემოქმედებითად განსაკუთრებულად დატვირთული აღმოჩნდა: ამ თვის განმავლობაში ჩვენმა მოსწავლეებმა თავი მრავალი კუთხით წარმოაჩინეს და უამრავი დასამახსოვრებელი დღე გვაჩუქეს.

წიგნის კითხვის კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა ლიტერატურულ თამაშში მიიღეს მონაწილეობა, წიგნების გამოფენას დაესწრნენ და თანატოლებისთვის პიესა დადგეს. ერთი თემატური კვირეული მათემატიკას მიეძღვნა — ჩვენმა მოსწავლეებმა ერთმანეთი მათემატიკური თავსატეხების ამოხსნაში გამოიწვიეს. ასევე წარმატებით დასრულდა სადიპლომო პროგრამის გამოცდები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დეპარტამენტის კვირეული.

აკადემიის ახალმა თეატრმა უმცროსკლასელებს უმასპინძლა, სადაც მათ ო' ჰენრის მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლი ნახეს. არც სპორტი დარჩენილა უყურადღებოდ: ჩვენმა აკადემიამ რამდენიმე სპორტულ ღონისძიებაზე გამოიჩინა თავი.

საინტერესო ამბები აკადემიის ცხოვრებიდან

სპექტაკლი უმცროსკლასელებისათვის

დაწყებითი საფეხურის მე-3, მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეები აკადემიის ახალ თეატრში სპექტაკლს „მოგვთა საჩუქარი" დაესწრენ. სპექტაკლი ო 'ჰენრის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით იყო დადგმული. წარმოდგენის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა სხვადასხვა გასართობ აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა, შემდეგ კი კმაყოფილები დაუბრუნდნენ საგაკვეთილო პროცესს.

საგრანტო კონკურსი

ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ უკვე ტრადიციად ქცეულ საგრანტო კონკურსს უმასპინძლა. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეები ნაწილობრივი ან სრული დაფინანსებით შემოეურთდებიან აკადემიის საზოგადოებას.

British–Georgian Academy

მათემატიკის დეპარტამენტის კვირეული

სკოლაში π-ის დღის აღსანიშნავად მათემატიკის დეპარტამენტმა აქტივობებით დატვირთული კვირეული შემოგვთავაზა. მოსწავლეებმა საკუთარი ანალიტიკური უნარ-ჩვევები გუნდურ შეჯიბრებებში, მათემატიკური თავსატეხების ამოხსნაში და ასამბლეებზე ორგანიზებულ ღონისძიებებში გამოსცადეს. სკოლაში ყველგან მოკრავდით თვალს მათემატიკურ სიმბოლოებსა თუ მორთულობებს. შეგახსენებთ, რომ π-ის დღეს მსოფლიო 14 მარტს აღნიშნავს. მე-3 თვე და 14 რიცხვი სიმბოლურად სწორედ π-ის მნიშვნელობას (3,14) უკავშირდება.



დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნას წელსაც შევუერთდით. ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ სოციალურ საწარმო „ბაბალეს" უმასპინძლა. დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა დაუნის სინდომთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღეს, მშობლებთან ერთად წინდებისგან მრავალფეროვანი არსებები დაამზადეს, ბოლოს კი შექმნილი „წინდის თოჯინები" ერთმანეთში ინგლისურად ალაპარაკეს. დღე სამახსოვრო ფოტოს გადაღებით დასრულდა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების დეპარტამენტის კვირეული

22 მარტს მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად წყლის დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვირეულის ფარგლებში ბრიტანულ-ქართულ აკადემიაშიც ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება. სუფთა წყლის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად მოსწავლეებმა ორ სხვადასხვა გამოწვევაში მიიღეს მონაწილეობა: ერთი გამოწვევის ფარგლებში მათ წყლის ფილტრაციის სისტემები შექმნეს, ხოლო მეორე გამოწვევა მცენარეებზე დაბინძურებული წყლის გავლენის შესწავლას მიეძღვნა. ჟიურიმ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მოსწავლეები გამოავლინა. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. კვირეულის ფარგლებში მოწვეული იყო ფიზიკოსი გიორგი ხომერიკი, რომელმაც მოსწავლეებს ასტროფიზიკის შესახებ წაუკითხა ლექცია.

ლიტერატურული კონკურსი „ათინათი"

დაიწყო საგაზაფხულო შემოქმედებითი ლიტერატურული კონკურსი „ათინათი," რომლის მიზანიც შემოქმედებითი წერით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენაა. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ბრიტანულ-ქართული აკადემიის მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებმა. კონკურსი ორი ეტაპისაგან შედგება, მოსწავლეებმა უკვე შეასრულეს პირველი ტურის დავალება, საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ ფინალში, საუკეთესო ნაშრომების ავტორებს კი ჟიური გამოავლენს.

სპექტაკლი „ოტელო”

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეები თეატრ სახელოსნო 42-ს ეწვივნენ, სადაც ახლებურად გაცოცხლებული ტრაგედია „ოტელო” ნახეს. ლევან წულაძის მიერ დადგმულ ორაქტიან წარმოდგენაში ძირითადად, ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ. შთაბეჭდილებას აძლიერებს სცენის სიღრმეში ორი კედლისგან აგებული კუთხოვანი ეკრანი და სცენაზე გაფანტული განათება.
სპექტაკლის დასრულების შემდეგ გაიმართა თეატრალური ტური.
მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეგოთ, რა გზას გადის სპექტაკლი იქამდე, სანამ სცენაზე ვიხილავთ. მოსწავლეების თქმით, თეატრში ვიზიტი შთამბეჭდავი იყო.

ლექცია — ფრანც კაფკას „მეტამორფოზა”

ინგლისური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის ფარგლებში ჩვენს აკადემიას ეწვია ლიტერატურულ ჟურნალ „არილის" დირექტორი, ფილოსოფოსი, თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი - ლექსო დორეული, რომელმაც ფრანც კაფკას „მეტამორფოზაზე” ისაუბრა და ნაწარმოებში არსებული თემები მსმენელებს სხვადასხვა ჭრილში დაანახა. მოსწავლეებს ლექციის დასასრულს შესაძლებლობა ჰქონდათ, კითხვები დაესვათ და საკუთარი ემოციებიც გაეზიარებინათ ფრანც კაფკას შემოქმედებასთან დაკავშირებით.

სადიპლომო პროგრამის მე-12 კლასის მოსწავლეთა სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა

21-22 მარტს BGA-ს ბიბლიოთეკაში გაიმართა სადიპლომო პროგრამის განსაკუთრებული ღონისძიება - გამოიფინა სახვითი ხელოვნების ნიმუშები, რომელთა შექმნაზეც ჩვენმა მოსწავლეებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად იმუშავეს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადახვა სტილში შექმნილი ნამუშევრები, მათ შორის: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, ციფრული ხელოვნება და სხვა. ნაშრომებში ჩანდა თითოეული მოსწავლის დახვეწილი ტექნიკური უნარები და რაც მთავარია, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი ხედვა.



მეხუთეკლასელთა პერფორმანსი THE WIND IN THE WILLOWS

დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასის მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს სრულიად ახალი მიუზიკლი - Wind in the Willows. დადგმისთვის მზადება საკლუბო აქტივობის ფარგლებში მიმდინარეობდა და კლუბს ეგლე გრიგალაიტიტე ხელმძღვანელობდა.
The Wind in the Willows ბრიტანელი მწერლის კენეთ გრემის წიგნია, რომელიც ვირთხისა და თხუნელას განუყრელი მეგობრობის შესახებ გვიყვება. სიუჟეტი ვითარდება ინგლისის ქალაქგარეში, სადაც ვირთხა და თხუნელა ერთგული მეგობრები ხდებიან და ერთად მიდიან თავგადასავლების საძიებლად. დაუვიწყარ მოგზაურობაში მათი თანამებრძოლი ხდება ხიფათების მოყვარული ბატონი გომბეშოც. საბავშვო ლიტერატურის კლასიკად აღიარებული ეს ნაწარმოები მეგობრობისა და სიმამაცის მნიშვნელობაზე მოგვითხრობს.
წარმოდგენა ბრიტანულ-ქართული აკადემიის ახალ თეატრში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მას პატარა მსახიობების ოჯახის წევრები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ. მიუზიკლმა, რომლის შესაქმნელადაც მოსწავლეებიც და კლუბის ხელმძღვანელიც თავდაუზოგავად შრომობდნენ, დიდი მოწონება დაიმსახურა.

სპორტული სიახლეები

British-Georgian Academy

მარტის თვეში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი სპორტული ღონისძიება.

უფრო კონკრეტულად კი, ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ უმასპინძლა ფრენბურთის ჩემპიონატს, რომელშიც მონაწილეობდნენ ბრიტანულ-ქართული აკადემიის, თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის, თავისუფალი სკოლისა და FOX-ის გოგონების ფრენბურთის გუნდები. ტურნირი ბრიტანულ-ქართული აკადემიის გამარჯვებით დასრულდა.

გარდა ამისა, 22- 23 მარტს ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს — Black Sea Games. აღნიშნული სპორტული ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სპორტის სამ სხვადასხვა სახეობაში: ფრენბურთში, კალათბურთსა და ფეხბურთში. აქაც ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ მოიპოვა მთავარი საპრიზო ადგილი.

აგრეთვე BGA-ს და BIST-ის გაერთიანებული გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხელბურთის სასკოლო ჩემპიონატში მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებს შორის. 27 და 28 მარტს გამართულ დასკვნით ეტაპზე ჩვენი გუნდი მოხვდა საუკეთესო ათეულში. ისინი ასპარეზობას აპრილში, ტურნირის ფინალურ ეტაპზე გააგრძელებენ.

27 მარტს ჩატარდა მარათონი, რომელშიც მე-6 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით ბრიტანულ-ქართული აკადემიის ყველა მოსწავლე მონაწილეობდა. მარათონი ლისზე გაიმართა და გარბენის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება იყო.

ჰაუს ქულები

PIROSMANI
1135

TAMAR MEPE
1081

ILIA
1025

RUSTAVELI
896